

## საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფი

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2018-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის საფუძველზე, დაიწყო თემატური მოკვლევა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე.

თემატური მოკვლევა წარმოადგენს საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ეფექტურ მექანიზმს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე. თემატური მოკვლევის ფუნქცია შესაძლებლობას აძლევს პარლამენტს, სამოქალაქო საზოგადოების პირდაპირი ჩართულობით, გამოიკვლიოს მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საკითხი, შეისწავლოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა კონკრეტულ საკითხზე და გამოკვეთოს რეაგირების ახალი შესაძლებლობები.

### მიზანი

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანია, დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე ქვეყანაში არსებული ძირითადი გამოწვევების და პრობლემების გამოკვლევა და გაანალიზება. მოკვლევის პროცესში მიღებული დასაბუთებული მოსაზრებების საფუძველზე, დოკუმენტურად დადასტურებული დასკვნის მომზადება. ასევე, საკითხზე აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციების პროექტის მომზადება და დასამტკიცებლად საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისთვის წარდგენა.

### საკითხის შესახებ

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის დაწყება საკითხის აქტუალობამ და არსებულმა საჯარო ინტერესმა განაპირობა.

ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია როგორც სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედება, წარმოჩენილია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიშში, რომლის თანახმად:

- პროპაგანდისტული მედიაკამპანია და დეზინფორმაციული ხასიათის მუშაობა წარმოადგენს საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული

ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიზანიცაა ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება;

- საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვა, საზოგადოების დემორალიზაცია, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე რადიკალიზაციის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ახალისებს საზოგადოებაში დეზინტეგრაციული პროცესების განვითარებასა და აღრმავებს პოლარიზაციას.

აღნიშნულ საფრთხეზე, მიუთითებენ საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საექსპერტო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

## თემატური მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობა

თემატური მოკვლევის ჯგუფის გადაწყვეტილებით საკითხზე მთავარ მომხსენებლად არჩეულ იქნა ნინო გოგუაძე.

ჯგუფი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

- დიმიტრი ცქიტიშვილი
- ცოტნე ზურაბიანი
- ირინე ფრუიძე
- გიორგი ხატიძე
- გიგა ბოკერია
- გიორგი კანდელაკი
- სალომე სამადაშვილი

## სამუშაო პროცესი

საპარლამენტო მოკვლევის პროცესში მონაწილეობით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა დაადასტურონ 2019 წლის 2 მარტის ჩათვლით, ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე: [tomarashvili@parliament.ge](mailto:tomarashvili@parliament.ge) და მიუთითონ ინფორმაცია მოკვლევის ჯგუფში მათი წარმომადგენლის შესახებ.

ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს მონაწილეობის შესახებ, გაეგზავნებათ მოკვლევის ჯგუფის მიერ საკითხის გამოკვლევის მიზნით შედგენილი კითხვარი.

მოკვლევის ჯგუფი შეისწავლის და გამოიკვლევს მიღებულ დოკუმენტებს. საჭიროების შემთხვევაში, ზეპირი მოსმენისთვის მოიწვევს ორგანიზაციის წარმომადგენლებს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

მოკვლევის ჯგუფი მოკვლევის საკითხის ირგვლივ ინფორმაციის მისაღებად და გამოსაკვლევად, საჭიროებისამებრ, მოიწვევს საჯარო სექტორის წარმომადგენლებს.

მოკვლევის ბოლო ეტაპზე მოკვლევის ჯგუფი მოამზადებს დასკვნას და რეკომენდაციების პროექტს, რომელიც წარედგინება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს.

პროექტი ხორციელდება ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისთვის (WFD) მხარდაჭერით.